თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 2019 წლის 20 თებერვალი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: ვასილ არაბული,უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
მომხს.ა,შათირიშვილი.

**მოისმინეს: 1.** პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით,

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ გულგულის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა მერს, რომ ოჯახს არ გააჩნია სხვა თავშესაფარი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახად და ასევე ქონება არის ოჯახისთვის ერთადერთი სარჩენი წყარო.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ადგილი აქვს ქონების ხელმეორედ განკარგვას, რაც შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მიზანშეწონილი იქნება ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის შემუშავებული იქნას პროგრამა, ხოლო მუნიციპალურ საცხოვრებელ სახლს მიეცეს თავშესაფრის სტატუსი, ხოლო პროგრამის მართვა მოახდინოს აიპმა, რომელიც გაუფორმებს ხელშეკრულებას ბენეფიციარს.

ა.შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მ. ჩაფურიშვილის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხორციელებამდე, რათა სოციალურად დაუცველი ოჯახი არ იქნას დარჩენილი საცხოვრებლის გარეშე, თანხმობა მიეცეს მერს, რისთვისაც საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ა.შათირიშვილის წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი